

შპს „Ecoservice“

ს/კ 400074879

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
წლისათვის

**2023 წლის ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები**

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „Ecoservice“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2013 წლის 18 იანვარს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 400074879, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ერწოს ქ. #4. კორპ. 1, ბინა 60. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის წილის ფლობა განაწილებულია შემდეგნაირად:

შალვა კეჟერაშვილი პ/ნ 12001039080 – 33 %

ირაკლ მოდებაძე პ/ნ 12001025874 – 33 %

შავლეგ ხატიაშვილი პ/ნ 40001002250 – 34 %

1.3. კომპანიის დირექტორია თენგიზ ჭიჭინაძე პ/ნ 01002005729


1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა მიწის ჰორიზონტალური ბურღვის მომსახურება.

1.5. კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შეილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.



2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა.

2.4. 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

3. 

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე

თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოდგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის გამოიყენება კლებადი ნაშთის მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო

სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

მანქანა-დანადგარები - 5 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის

საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

2017-2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6894 ლარი;

1 EUR=2.9753 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგება და მუხლების განმარტებითი შენიშვნები

ბალანსი:

აქტივები	12/31/2023	12/31/2022
<i>მიმდინარე აქტივები:</i>		
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	187093	246737
სავაჭრო მოთხოვნები	631073	497127
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	38318	21009.21
სასაქონლო მარაგები	42624	54637.02
მთლიანი მიმდინარე აქტივები	899108.00	819509.82

<i>ძირითადი საშუალებები:</i>		
მიწის ნაკვეთი	39055	39055
დაუმთავრებელი მშენებლობა	92896	63068
მანქანა - დანადგარები	518461	565354
ოფისის აღჭურვილობა	7397	7396

3. 

საამქროს აღჭურვილობა	4601	3207
სატრანსპორტო საშუალებები	71415	73600
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	757	757
მთლიანი ძირითადი საშუალებები	734582	752437

არამატერიალური აქტივები:		
აღრიცხვის პროგრამა	505	505
	0	0
მთლიანი არამატერიალური აქტივები	505	505

მთლიანი აქტივები	1634195	1572452
-------------------------	----------------	----------------

ვალდებულებები და კაპიტალი	12/31/2023	12/31/2022
მიმდინარე ვალდებულებები:		
კრედიტორული დავალიანება	26760	18753.74
საგადასახადო ვალდებულებები	0	0
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	26760	18753.74

გრძელვადიანი ვალდებულებები:		
გრძელვადიანი სესხები	156480	0
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	156480	0
მთლიანი ვალდებულებები	183240	18753.74
კაპიტალი:		
საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება	1450955	1553698
მთლიანი კაპიტალი	1450955	1553698.34

მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	1634195	1572452
--	----------------	----------------

3. ხელმოწერა

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
ფული სალაროში	4	21
ფული ბანკში	187089	246716
სულ	187093	246737

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
სავაჭრო მოთხოვნები	631073	497127

2023 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების მიმართ მოთხოვნები.

3.3. გადახდილი ავანსები:

	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
გადახდილი ავანსები	38318	21009

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
ხელსაწყო ინსტრუმენტები	20751	11783
ნედლეული და მასალები	21873	42854
სულ	42624	54637

3. 

3.5. ძირითადი საშუალებები:

დასახელება	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
მიწის ნაკვეთი	39055	39055
დაუმჯობესებელი მშენებლობა	92896	63068
მანქანა - დანადგარები	518461	565353.89
ოფისის აღჭურვილობა	7397	7396.26
საამქროს აღჭურვილობა	4601	3206.73
სატრანსპორტო საშუალებები	71415	73599.75
იჯარითაღებული ქონების კეთილმოწყობა	757	757.37
არამატერიალური აქტივები	505	
სულჯამი:	735087	752437

ძირითადი საშუალებები მოცემულია ნარჩენი ღირებულებით.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2022 წლის ბოლოს - 1168296 ლარი

2023 წლის ბოლოს - 1340084 ლარი

3.6. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
სავაჭრო ვალდებულებები	26760	18753

3.7. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
საგადასახადო ვალდებულებები	0	0

3. 

3.8. გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
საბანკო სესხი	156480	0

3.9. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2023	ნაშთი 31.12.2022
გაუნაწილებელი მოგება	1450955	1553698

საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

მოგება-ზარალს ანგარიშგება	2023 წელ	2022 წელ
შემოსავლები	1967848	1494091
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	1967848	1494091
ხარჯები		
თვითღირებულება:	940228	601360
ძირითადი მასალების დანახარჯები	106236	49228
ობიექტებზე გაწეული მომსახურების ხარჯი	324139	67824
პირდაპირი ხელფასის ხარჯი	268351	240671
მანქანა - დანადგარების ცვეთა	149621	141061
საწვავის ხარჯი	91881	102578
სხვა საოპერაციო ხარჯები:	974331	799717
ხელფასის ხარჯი	641137	587877
ძირ.საშუალებების ცვეთა	22167	19526
საიჯარო ხარჯი	10218	10050
სხვა საოპერაციო ხარჯი	300809	182264
საოპერაციო მოგება	53289	93014
არასაოპერაციო შემოსავალი	0	10000
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		10000
არასაოპერაციო ხარჯი	30750	11489
საპროცენტო ხარჯი	18209	424
საკურსო სხვაობა	3151	3365
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	9390	7700

3. ხელ

მოგება/ზარალი მოგების გადასახადის ხარჯამდე	22539	91525
მოგების გადასახადის ხარჯი	20019	4865
წმინდა მოგება	2520	86660

4.1. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

საანგარიშო პერიოდში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა მიწის ჰორიზონტალური ბურღვის სამუშაოებიდან მიღებული შემოსავლებისაგან.

თვითღირებულება:

დასახელება	2023 წელი	2022 წელი
ძირითადი მასალების დანახარჯები	106236	49227.52
ობიექტებზე გაწეული მომსახურება	324139	67823.59
პირდაპირი ხელფასი	268351	240670.92
მანქანა - დანადგარების ცვეთა	149621	141060.5
საწვავი	91881	102577.51
სულჯამი:	940228	601360.04

4.2. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

დასახელება	2023 წელი	2022 წელი
საკანცელრო ხარჯი	469	301.92
ტრანსპორტირების ხარჯი	10884	25971.43
კომუნიკაციის ხარჯი	1734	1884.44
დზღვევა	1364	2102.33
ქონების გადასახადის ხარჯი	8297	22187.16
კომპიუტერის ხარჯები		
მივლნების ხარჯი	16184	25716.27
საბურღი მოწყობილობების რემონტი	177212	6934.69
ავტომატების შეკეთების ხარჯი	42964	57233.68
საწვავის ხარჯი	17012	15257.08

3. ხორე

ბანკის საკომისიო	3502	2422.71
სამეურნეო ხარჯი	21187	22252.33
სულჯამი:	300809	182264.04

4.3. არასაოპერაციო შემოსავლები:

დასახელება	2023 წელი	2022 წელი
არასაოპერაციო შემოსავალი	0	10000

2022 წელს არასაოპერაციო შემოსავალი შედგება ძირითადი საშუალების ნეტო რეალიზაციისაგან.

4.4. არასაოპერაციო ხარჯები:

დასახელება	2023 წელი	2022 წელი
არასაოპერაციო ხარჯები	30750	7700

2022 წელს არასაოპერაციო ხარჯი შედგება იმ ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებისაგან, რომელიც წარმოიშვა მათი რეალიზაციის შედეგად. 2023 წლის არასაოპერაციო ხარჯი შედგება საპროცენტო ხარჯის - 18209 ლარი, საკურსო სხვაობისა 3151 ლარი და მომსახურების გაწევის ხელშეკრულებების ვადის დარღვევისაგან - 9390 ლარი.

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება:

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	2023 წელი	2022 წელი
<i>საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში</i>	1553698	1519670
დვიდენდის განაწილება	105263	52631.59
საანგარიშგებოპერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	2520	86660.06
<i>საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს</i>	1450955	1553698

ვასო ქლიბაძე

